პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 მაისი შაბათი 1974 წელი 2. კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 114 (15935)

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მოქალაქეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. თქვენი ერთსულოვანი ხმის მიცემა კვლავ მკაფიოდ გამოხატავს, რომ იწონებთ და მხარს უჭერთ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი კვლავაც თავდადებით იბრძოლოთ კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის!

**ყველანი არჩევნებზე!**

ივნისი 16 კვირა

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა**

# მიმართვა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, მოქალაქისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

1974 წლის 16 ივნისს გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მორიგი არჩევნები. ისევე როგორც წინათ, ჩვენი ლენინური პარტია არჩევნებს ეგებება უპარტიოებთან მჭიდრო, ერთიანი მწყობრით. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი მკაფიოდ გამოხატავს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, საბჭოთა საზოგადოების მონოლითურ შეკავშირებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების დროიდან განვლილი ოთხი წელიწადი აღსავსეა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით. კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის გზაზე ისტორიული ნიშანსვეტი იყო სკკპ XXIV ყრილობა. მისი იდეებისა და გადაწყვეტილებების ზემოქმედებით ვითარდება ქვეყნის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება.

ვაჯამებთ რა იმის შედეგებს, რაც გაკეთებულია წინა არჩევნების შემდგომ პერიოდში, სრული საფუძველი გვაძლევს ვთქვათ: პარტიის მიერ შემუშავებული საშინაო პოლიტიკის კურსი, მეცხრე ხუთწლედის გეგმა, ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა წარმატებით ხორციელდება. პარტიამ აამოქმედა უზარმაზარი შემოქმედებითი ძალები, რომლებსაც ჩვენი საზოგადოება შეიცავს. საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა დაგვირგვინდა ახალი გამარჯვებებით კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით.

განუხრელად იზრდება ქვეყნის საწარმოო ძალები, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერება, მატულობს ეროვნული სიმდიდრე, ვითარდება მეცნიერება და კულტურა, უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა.

განვლილ წლებში ახალ, უფრო მაღალ დონეზე ავიდა სოციალისტური ინდუსტრია. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1973 წელს 1969 წელთან შედარებით გაიზარდა 1,3-ჯერ. სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპმა ამ პერიოდში საშუალოდ წელიწადში შეადგინა 7,5 პროცენტი. ამასთან სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების ოთხ მეხუთედზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

მწყობრში ჩადგა 1.600-ზე მეტი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. სრული სიმძლავრით ამოქმედდა მსოფლიოში უდიდესი კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგური და კრივოი როგის თბოელექტროსადგური, ქალაქ ტოლიატის საავტომობილო ქარხანა, ფართო ფრონტით წარმოებს კამის სატვირთო ავტომობილების გიგანტის მშენებლობა. პროდუქციის გამოშვება დაიწყეს ბერეზნიკის მესამე კალიუმის კომბინატმა, ჩერეპოვეცის ქიმიურმა ქარხანამ, ყარაღანდის მეტალურგიული კომბინატის ჟანგბად-კონვერტერის საამქრომ, „აზოფოლადის“ ქარხნის „3600“ საგლინავმა დგანმა, ათვისებულია ნავთობისა და გაზის დიდი საბადოები დასავლეთ ციმბირში. ოთხი წლის მანძილზე აქ მოპოვებულია 311 მილიონი ტონა ნავთობი და 64 მილიარდი კუბური მეტრი გაზი. ეს სჭარბობს ნავთობის 1968 წლის მოპოვებას და გაზის 1961 წლის მოპოვებას მთელ ჩვენს ქვეყანაში.

დაიწყო დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ახალი ობიექტების მშენებლობა. მათ შორის არის ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, რომლის აშენება საშუალებას მოგვცემს ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ახალი ვრცელი რაიონების ბუნებრივი სიმდიდრე.

მწყობრში ჩადგა მსუბუქი და კვების მრეწველობის რვაასამდე საწარმო. მათ შორის არიან ბუხარის, ტირასპოლისა და დონეცკის ბამბეულის კომბინატები, მოგილიოვის აბრეშუმის კომბინატი, მთელი რიგი ფაიფურ-ქაშანურის ქარხნები, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და სახალხო მოხმარების სხვა საგნების წარმოების ახალი ნიმძლავრენი.

ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი, უმჯობესდება წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია. გასულ პერიოდში შექმნილია ახალი ტიპის თანამედროვე მანქანების, მოწყობილობის, აპარატებისა და ხელსაწყოების დაახლოებით 16 ათასი ნიმუში, ათვისებულია და დაიწყო 13 ათასზე მეტი ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება. სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს — ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ელექტრონიკა, ქიმია და ნავთობქიმია.

შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს ჩვენი პარტიის აგრარულ პოლიტიკას. მოპოვებულია დიდი წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ეკონომიკის ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დარგის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის კომპლექსურ პროგრამას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მომარაგება მანქანებით და სასუქებით. ოთხი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობამ მიიღო 1 მილიონ 258 ათასი ტრაქტორი, 738 ათასი სატვირთო ავტომობილი, 208 მილიონი ტონა მინერალური სასუქი. ფართო მასშტაბით წარმოებს მიწების მელიორაცია. სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებამ სოფლის მეურნეობის განვითარებაში სამოუპოთა მთელი კომპლექსის მიხედვით ოთხი წლის მანძილზე (1970-1973 წლები) გადააჭარბა 91 მილიარდ მანეთს და წინა ოთხწლეულთან შედარებით გაიზარდა თითქმის 29 მილიარდი მანეთით, ანუ 46 პროცენტით. შრომა სოფლის მეურნეობაში სულ უფრო მეტად ხდება ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობა, განუხრელად მაღლდება მისი ეფექტიანობა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 1970-1973 წლებში წინა ოთხწლეულთან შედარებით 13 პროცენტით გაიზარდა. მარცვლეული კულტურების წარმოება გადიდდა 17 პროცენტით, ბამბისა — 23 პროცენტით, ხორცისა — 15 პროცენტით, რძისა — 5 პროცენტით, კვერცხისა — 33 პროცენტით.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს სოფლის მშრომელებმა შარშან. მათ მოიყვანეს 222,5 მილიონი ტონა, ანუ 13,6 მილიარდი ფუთი მარცვლეული — გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე მოუყვანიათ საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. მოყვანილია ბამბის რეკორდული მოსავალი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს პირუტყვისა და ფრინველის სულადობა.

მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ყამირი და ნასვენი მიწების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. ამ მიწების ათვისების ოცი წლისთავი ფართოდ აღინიშნა წელს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ. ოცი წლის მანძილზე სამეურნეო ბრუნვაში შეყვანილმა ყამირმა მიწებმა მოგვცეს 31 მილიარდი ფუთი მარცვლეული და სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა პროდუქცია. ყამირის ათვისება სამუდამოდ შევიდა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში როგორც პარტიისა და ხალხის დიადი გმირობა, როგორც სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის განსახიერება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაში დიდი როლი უნდა შეასრულოს პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულმა რუსეთის სფსრ არაშავნიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ფართო პროგრამამ. მისი განხორციელება გარდაქმნის ვრცელ მხარეს ჩვენი ქვეყნის ცენტრში, ხელს შეუწყობს მთელი ეკონომიკის ზრდას.

წარმატებათა ღირსეულ შეფასებასთან ერთად პარტია მკაფიოდ ხედავს გადაუჭრელ პრობლემებს, ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მართვისა და დაგეგმვის სრულყოფისათვის, მთელი სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესებისათვის, კადრების დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის. ყველა ეს პრობლემა, ქვეყნის შემდგომი ეკონომიური განვითარების კონკრეტული გზები ყოველმხრივ და საფუძვლიანად განხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა.

პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია კვლავაც გაზარდოს ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი, აამაღლოს წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, უზრუნველყოს სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის სწრაფი ტემპი. იგი კვლავაც ყველაფერს იღონებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, სურსათზე მოსახლეობის და ნედლეულზე მრეწველობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

უახლოესი პერიოდის უპირველესი ამოცანაა 1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულება. მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრება. ჩვენი ქვეყნის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ყველგან გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ლოზუნგით: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით. და ეს კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ყველა ჩვენს საქმეზე. მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შესრულდა. სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 8,7 პროცენტი. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 2,8 მილიარდი მანეთის პროდუქცია. ეს გვინერგავს მტკიცე რწმენას, რომ დასახული გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება.

დღეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო ამომრჩევლებო, — მუშებო, კოლმეურნეებო, საბჭოთა ინტელიგენციავ. ჩვენი პარტიის პოლიტიკა — ეს არის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური ინდუსტრიის განუხრელ ზრდას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელ აღმავლობას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით თქვენ ხმას მისცემთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას!

განვლილი წლები ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 20,5 პროცენტით გაიზარდა. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასმა 1973 წელს თვეში 135 მანეთი შეადგინა ნაცვლად 1969 წლის 117 მანეთისა. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 25 პროცენტი გაიზარდა.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მარტო ხუთწლედის სამ წელიწადში ხელფასი მოემატა 31 მილიონ კაცს, ანუ ყოველ მესამე მუშასა და მოსამსახურეს.

ყოველწლიურად იზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ამ ფონდებიდან მიღებული დახმარება და შეღავათები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1969 წლის 248 მანეთიდან 310 მანეთამდე გაიზარდა 1973 წელს. პენსიის მინიმუმი მოემატათ მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს. გაუმჯობესდა იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფა, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს. სტიპენდიები გაუდიდდათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ტექნიკუმებისა და ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, გაიზარდა საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეების კვების ხარჯების ნორმები. ყველა მომუშავე ქალს დაუწესდა დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო მთლიანი ხელფასის ოდენობით, შრომის სტაჟის მიუხედავად. 1971-1973 წლებში სულ პენსიების, სტიპენდიების, დახმარებისა და სხვა მისაცემლების გაზრდის შედეგად შემოსავალი გაუდიდდა 23 მილიონ კაცს.

გაფართოვდა საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სამშობიაროო სახლებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი.

პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანია საბინაო მშენებლობა. მშენებარე ბინების რაოდენობით ჩვენს ქვეყანას ტოლი არა ჰყავს მსოფლიოში. წინა არჩევნებიდან გასული დროის მანძილზე 45 მილიონზე მეტმა კაცმა მიიღო ახალი ბინა ან გაუმჯობესა საბინაო პირობები.

იზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. საბჭოთა ადამიანები ახლა უკეთ იკვებებიან და იცვამენ. იზრდება მოსახლეობისათვის სამრეწველო და სასურსათო საქონლის მიყიდვა. უმჯობესდება საზოგადოებრივი კვება, ფართოვდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო, სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ქალაქები და სოფლები. გასულმა წლებმა თვალნათლივ გვიჩვენეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, თანმიმდევრულად და განუხრელად ხორციელდება.

კომუნისტური პარტია კვლავაც იბრძოლებს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების კიდევ უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის, მოსახლეობის საბინაო პირობების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მარტო წელს რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 5 პროცენტით გაიზრდება, დამთავრდება ქვეყანაში აღმოსავლეთ რაიონებში ხელფასის მინიმუმის, საწარმოო დარგების საშუალოხელფასიანი მუშა-მოსამსახურეების განაკვეთებისა და სარგოების გადიდება და დაიწყება ამ ღონისძიებათა თანდათანობითი განხორციელება ქვეყნის მთელ რიგ სხვა რაიონებში.

პარტიის მიერ დასახულ სოციალურ ღონისძიებათა ფართო პროგრამის შესასრულებლად საჭიროა კვლავაც ვამაღლებდეთ ყოველი მშრომელი კოლექტივის, ყოველი მშრომელის წვლილს წარმოების განვითარებაში, ვუფრთხილდებოდეთ და ვამრავლებდეთ საზოგადოებრივ დოვლათს.

ამხანაგო ამომრჩევლებო! საბჭოთა კავშირის მოქალაქეებო! ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმაღლესი მიზანია, რომელმაც გამოაცხადა და პრაქტიკულად ახორციელებს ლოზუნგს: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის!“ ხმას მისცემთ რა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმას მისცემთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ყოველი ოჯახის, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებას.

სულ უფრო მდიდარი, შინაარსიანი ხდება საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრება. გასული პერიოდის მანძილზე პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე აშენდა 13 ათასზე მეტი ახალი სკოლა. განხორციელდა ახალი ღონისძიებანი საშუალო და უმაღლესი სკოლის მუშაობის, პროფესიულ-ტექნიკური სწავლების გაუმჯობესებისათვის. ახლა მუშების ორ მესამედზე მეტს და კოლმეურნეთა დაახლოებით ნახევარს უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება აქვთ. საბჭოთა ახალგაზრდობას ყველა საჭირო პირობა აქვს ნაყოფიერი სწავლისათვის, კარგი პროფესიული მომზადების მიღებისა და იდეური წრთობისათვის.

(დასასრული მე-2 გვ.).

## იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს

პატივცემულო ამხანაგო ტიტო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და პირადად ჩვენ სახელით მოგილოცავთ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის მაღალ პოსტზე ხელახლა არჩევას.

ჩვენი აზრით, ეს გამოხატავს იუგოსლავიის მშრომელთა ერთსულოვან ნებას თქვენ მიგანდოთ, იმ დიდი დამსახურების აღიარებას, რომელიც თქვენ მიგიძღვით იუგოსლავიის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ, იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაში, მტკიცე მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

გისურვებთ, ამხანაგო ტიტო, ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს თქვენს ნაყოფიერ მუშაობაში იუგოსლავიის ხალხთა საკეთილდღეოდ, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელთა ძმური მეგობრობის, შემდგომი განმტკიცებისა და ჩვენს პარტიებსა და ქვეყნებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის, მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის განმტკიცების ინტერესებისათვის.

**ლ. ბრეჟნევი**
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

**ნ. პოდგორნი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

## მის აღმატებულებას ბატონ ჰელმუტ შმიდტს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს

ბონი

პატივცემულო ბატონო ფედერალურო კანცლერო!

გულითადად გილოცავთ თქვენს არჩევას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის პოსტზე და გისურვებთ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ მოღვაწეობაში.

ნება გვებოძოთ გამოვთქვათ რწმენა, რომ ურთიერთგაგება და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, რაც შეიქმნა მოსკოვის ხელშეკრულების დადებისა და ორივე მხარის შემდგომი მიზანსწრაფული ღონისძიებების შედეგად, კვლავაც განვითარდება და გაღრმავდება ჩვენი სახელმწიფოების ხალხთა საკეთილდღეოდ, ევროპისა და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ.

**ლ. ბრეჟნევი** **ა. კოსიგინი**

## ა. ნ. კოსიგინის საუბარი

17 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნგუენ ვან თხანი და ესაუბრა მას ორივე მხარისთვის საინტერესო მთელ რიგ საკითხებზე.

შეხვედრას, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ს. ს. ნემჩინა.

## ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ა. ს. ჯელუდი

16 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი, პრემიერ-მინისტრი ადგილ სალამ ჯელუდი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ა. ს. ჯელუდის საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ფართოდ გაუზიარეს ერთმანეთს აზრები სსრ კავშირისა და ლიბიის ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზების, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის უსწრაფეს დამყარებას და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების მთავარი მომენტი უნდა იყოს ისრაელის ჯარების გაყვანა ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან, პალესტინის არაბ ხალხს კანონიერ უფლებათა უზრუნველყოფა.

ა. ს. ჯელუდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიბიის ხალხი დიდად აფასებს იმ დიდ უანგარო დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს არაბულ ქვეყნებს იმპერიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პრემიერ-მინისტრმა გულითადი მადლობა გადაიხადა ყურადღებისა და გულთბილი მასპინძლობისათვის, რაც სსრ კავშირში გაუწიეს მას და მის თანმხლებ პირებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ლიბიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს უსურვა ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებანი თავის საქმიანობაში ლიბიელი ხალხისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ. (საკვლევი).

## საბჭოჭა კავშირ-ლიბიის მოლაპარაკება

17 მაისს კრემლში გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრის, პრემიერ-მინისტრ ადგილ სალამ ჯელუდის მოლაპარაკება.

## ალჟირში ა. გრეჩკოს ვიზიტის გამო

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და თავდაცვის მინისტრის ჰ. ბუმედიენის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩავა ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1974 წლის მაისის დამლევს. (საკვლევი).

**საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ**

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVII ყრილობა გაიხსნება 18 მაისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (მთავრობის სახლი).

ცენტრალური კომიტეტი.

# მიმართვა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, მოქალაქისადმი

(დასასრული)

ეს წლები აღინიშნა ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების დიდი მიღწევები მეცნიერული შემეცნებისა და ტექნიკური პროგრესის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებებით. მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები განხორციელდა და აღმოჩენები მოხდა მიწის წიაღისეულის, მსოფლიო ოკეანის სიღრმეებისა და კოსმოსური სივრცის შესწავლისა და ათვისების, ენერგიის ახალი წყაროების გამოყენების, პრინციპულად ახალი ტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალპროდუქტიული ჯიშების შექმნის დარგში, მედიცინაში, ბიოლოგიასა და ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა დარგებში. განუწყვეტლივ ფართოვდება სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ქსელი, მტკიცდება მეცნიერებისა და წარმოების კავშირი.

კიდევ უფრო განვითარდა კულტურის მატერიალური ბაზა. გადიდდა ბიბლიოთეკებისა და კლუბების რიცხვი. მნიშვნელოვნად გაიზარდა გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების ტირაჟები. 1973 წელს გაზეთების ერთჯერადი ტირაჟი 1969 წელთან შედარებით გადიდდა 18 მილიონით, წიგნების ტირაჟი — 192 მილიონით. მოსახლეობაში ტელევიზორების რაოდენობა 1,6-ჯერ გაიზარდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი გაკეთდა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. პარტია, ხალხი დიდად აფასებენ მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრისა და კინოს მუშაკების მოღვაწეობას, რომელთა შემოქმედებითი შრომა ამდიდრებს ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებას.

საბჭოთა მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მასწავლებლები და პედაგოგები, ექიმები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან ერთიანი მწყობრით იბრძვიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის, დიდი წვლილი შეაქვთ კომუნისტური აღზრდის საქმეში.

**ამხანაგო ამომრჩევლებო! მეცნიერებისა და კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებო, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! კომუნისტური პარტიის კოლიტიკა — ეს არის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივ სულიერ აყვავებას. ხმას მისცემთ რა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმას მისცემთ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ განვითარებას, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ახალ მიღწევებს!**

ოთხი წელი, რაც გვაშორებს ბოლო არჩევნებს, აღინიშნა დიდი და მრავალმხრივი მუშაობით საზოგადოების მთელი **პოლიტიკური ორგანიზაციის** შემდგომი სრულყოფისათვის, **მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის.** კიდევ უფრო ამაღლდა მუშათა კლასის როლი კომუნისტურ მშენებლობაში, განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი. გრძელდება ჩვენი საზოგადოების კლასებისა და სოციალური ჯგუფების დაახლოების პროცესი. კიდევ უფრო განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური გრძნობა.

ჩვენი ხალხის ინტერნაციონალური შეკავშირების დიდმნიშვნელოვანი დემონსტრაცია იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის ზეიმი. ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა თვალსაჩინო დამსახურებათა აღიარება მათი ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, მათი დიდი წვლილის შეფასება სსრ კავშირის ძლიერების განმტკიცებაში, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში იყო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით. საბჭოების ქვეყნის ასზე მეტი ერისა და ეროვნების მშრომელები არჩევნებს ეგებებიან ერთსულოვან მეგობრულ ოჯახად, რომელიც შედუღაბებულია საერთო მიზნებით, მჭიდროდ შეკავშირებულია კომუნისტური პარტიის გარშემო.

პარტიის პროგრამის, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მსვლელობაში კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური დემოკრატია. სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭო წარმატებით წყვეტდა სოციალურ-ეკონომიური განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხებს, ღირსეულად ასრულებდა თავის მაღალ მისიას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლი, რასაც ბევრად შეუწყო ხელი კანონის მიღებამ დეპუტატთა სტატუსის შესახებ. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოების კავშირი ამომრჩევლებთან. იზრდება პროფესიული კავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობა. მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები უბმებიან სახელმწიფოს მართვაში. მტკიცდება სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი.

კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს იხმარს საბჭოთა საზოგადოების შემდგომი სოციალურ-პოლიტიკური შეკავშირებისათვის, სოციალისტურ ერთა აყვავებისა და თანდათანობითი დაახლოებისათვის, მშრომელებს კვლავაც აღზრდის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ბეჯითად განახორციელებს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების ყოველმხრივი განვითარების ხაზს, აამაღლებს საბჭოების როლს, განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებას, სახელმწიფო დისციპლინას, იბრძოლებს საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ, გააუმჯობესებს სამმართველო აპარატის მუშაობას.

**ამხანაგო ამომრჩევლებო! საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! კომუნისტური პარტიის პოლიტიკა — ეს არის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცების. კლასებისა და სოციალური ჯგუფების შემდგომი დაახლოების, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების პოლიტიკა, ეს არის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განმტკიცებას. ხმას მისცემთ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ამით ხმას მისცემთ პარტიის სოციალური და ეროვნული პოლიტიკის ახალ წარმატებებს, საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებას, მისი დემოკრატიული საფუძვლების განვითარებას.**

განვლილი წლები აღინიშნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური **საგარეო პოლიტიკის** დიდი წარმატებებით. განმტკიცდა სოციალისტური ქვეყნების პოზიციები და მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები. დღეს შეიძლება კმაყოფილებით ვთქვათ, რომ მოვლენების მსვლელობა დამაჯერებლად ცხადყოფს სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული საგარეოპოლიტიკური კურსის, მშვიდობის პროგრამის სასიცოცხლო ძალასა და ეფექტიანობას.

რეაქციისა და აგრესიის ძალების წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე ძალების შეუპოვარ ბრძოლაში წარმოებს შემობრუნება საერთაშორისო ურთიერთობაში „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ. უფრო საიმედო ხდება საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების პერსპექტივა. საფუძველი ეყრება სახელმწიფოთა გრძელვადიან ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის სფეროში. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმე, ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ ეს პროცესი შეუქცევადი გახდეს.

ახალი, უფრო ხელშემწყობი ვითარება, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე მკვიდრდება, არის უწინარეს ყოვლისა შედეგი ძალთა თანაფარდობის შეცვლისა სოციალიზმის სასარგებლოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური და მიზანდასახული საგარეოპოლიტიკური საქმიანობის შედეგი. ეს არის მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ქვეყნის ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედების შედეგი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკას კლასობრივი, ნამდვილად სოციალისტური ხასიათი აქვს. ჩვენი პარტია კვლავაც ყველაფერს იღონებს, რომ შექმნას საბჭოთა ხალხის წარმატებითი შემოქმედებითი შრომის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და მეგობრობის განმტკიცების საუკეთესო პირობები.

თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად დაუჭერს მხარს ხალხებს, რომლებიც იცავენ თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობას, იბრძვიან აგრესიის, იმპერიალისტური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

**ამხანაგო ამომრჩევლებო! საბჭოების ქვეყნის მოქალაქენო! კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკაა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით თქვენ ხმას მისცემთ საბჭოთა კავშირის და სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას საერთაშორისო ასპარეზზე, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში, მტკიცე მშვიდობას, თერმოატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნას!**

**კომუნისტური პარტია გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ყველა მშრომელთა ძირეულ ინტერესებს. ამასთანავე იგი მუდამ ითვალისწინებს ქალების, ახალგაზრდობის, პენსიონერების — მოსახლეობის ყველა ფენის შრომისა და ყოფაცხოვრების თავისებურებებს, დიდ ყურადღებას უთმობს მათს ინტერესებსა და საზრუნავს.**

**ძვირფასო ქალებო! ჩვენი დიადი სამშობლოს სახელოვანნი შვილებო! საბჭოთა ხალხის ყველა მიღწევაში თქვენი შრომის უდიდესი წილია ჩაქსოვილი. დიდია თქვენი როლი მოზარდი თაობის აღზრდაში.**

**კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს საბჭოთა ქალების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ჩვენს ქვეყანაში საყოველთაოსახალხო უყრადღებით და ზრუნვით არის გარემოსილი ქალი — დედა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც განუხრელად განახორციელებენ ღონისძიებებს, რათა შეუქმნან ქალებს ნაყოფიერი შრომის, საზოგადოებრივი საქმიანობისა და ბავშვთა აღზრდის უფრო ხელშემწყობი პირობები, გაუადვილონ მათ ოჯახისა და სახლის ყოველდღიური საზრუნავი.**

**საბჭოების ქვეყნის კომკავშირელებო, ქალიშვილებო და ჰაბუკებო! თქვენ მუდამ მხარში ედექით უფროს თაობებს კომუნისტური მშენებლობის მოწინავე მიჯნებზე. წელს სრულდება კომკავშირისათვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავი. კომკავშირი წმიდად ასრულებს დიდი მასწავლებლისა და ბელადის ანდერძს, ლენინურად ცხოვრობს, მუშაობს, სწავლობს და იბრძვის. ეს კვლავ დიდი ძალით ცხადყო ამას წინათ გამართულმა ლენინური კომკავშირის ყრილობამ.**

**ასეულ ათასობით ახალგაზრდა პირველად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ისინი პირნათლად მოიხდიან თავიანთ მოქალაქეობრივ ვალს, მუდამ და ყველგან ღირსეულად ატარებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის მაღალ წოდებას!**

**საბჭოთა ხელისუფლებამ, ჩვენმა სოციალისტურმა წყობილებამ ახალგაზრდებს დაუსახა ფართო გზები, რომლებზეც ვავკაცდება პიროვნება, ყალიბდება მშრომელი ადამიანის, შემოქმედი ადამიანის ხასიათი. პარტია კვლავაც შექმნის მოზარდი თაობის, ჩვენი სტუდენტობის სწავლის, ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლინების ყველა პირობას, დღენიადაგ იზრუნებს შრომისადმი პატივისცემისა და სიყვარულის სულისკვეთებით მისი აღზრდისათვის, ყოველნაირად დაუჭერს მხარს და განავითარებს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა შრომითს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას!**

**პატივცემულო რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო! თქვენი რევოლუციური მამაცობა, თქვენი გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში, თავდადებული შრომა ახალი საზოგადოების მშენებლობის ყველა ეტაპზე, ხალხის სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი იყო, არის და იქნება მუდამ. ბევრი თქვენგანი, თუმცა დამსახურებული დასვენების უფლება გაქვთ, დღესაც შრომითს მწყობრშია, დიდი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობის აღზრდაში.**

**ვეტერანები დამსახურებული და პატივცემული ადამიანები არიან საბჭოთა კავშირში. ვეტერანებისათვის, მათი ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობებისათვის ზრუნვა კვლავაც პარტიის სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იქნება.**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, საბჭოთა ქალებს, ქალიშვილებსა და ჰაბუკებს, რევოლუციის ვეტერანებს, ომისა და შრომის ვეტერანებს. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით თქვენ ერთხელ კიდევ ცხადყოფთ თქვენს დიდ დაინტერესებას ჩვენი სამშობლოს აყვავებით!**

**ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომას საიმედოდ იცავენ მამაცი შეიარაღებული ძალები, სამშობლომ მიანდო საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა, და ისინი ღირსეულად ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას.**

**კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ განამტკიცოს სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა. იგი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მეომრები კვლავაც დაუცხრომლად აიმაღლებენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, დაეუფლებიან ყველა სახეობის თანამედროვე იარაღსა და ტექნიკას, ფხიზლად იდგებიან კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ თქვენ, სახელოვან საბჭოთა მეომრებს, ხმა მისცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურებს თქვენს ერთგულებას სოციალისტური პარტიისადმი, უსაზღვრო სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი!**

**ძვირფასო ამხანაგებო! რაც უფრო წინ მივდივართ არჩეული გზით, მით უფრო თვალნათლივ ხედავს მსოფლიო ახალი საზოგადოებრივი წყობილების უდიდეს უპირატესობებს. ცხოვრება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სწორედ სოციალიზმი განასახიერებს მთელი კაცობრიობის მომავალს.**

**სოციალიზმი უზრუნველყოფს საწარმოო ძალების სწრაფ ზრდას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის. იგი ამკვიდრებს ახალ, ადამიანის შესაფერ ცხოვრების წესს, მშრომელებს ანიჭებს შრომის, უფასო განათლების, სამედიცინო მომსახურებისა და საპენსიო უზრუნველყოფის, მსოფლიოში ყველაზე დაბალი ბინის ქირის უფლებას, უზრუნველყოფს კეთილდღეობისა და კულტურის მუდმივ და განუხრელ ამაღლებას. სოციალიზმი — ეს არის მომავლის რწმენა. ეს არის ადამიანთა ურთიერთობის ნამდვილად ჰუმანური სისტემა.**

**საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ყველა ჩვენი წარმატება გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის თავდადებული შრომის შედეგია. ეს კომუნისტური პარტიის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივი და მიზანდასახული საქმიანობის შედეგია.**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, არა აქვს სხვა მიზანი, გარდა მშრომელთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისა. საბჭოთა ადამიანები ენდობიან თავიანთ პარტიას, და პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ამ ნდობის ღირსი იყოს. ეყრდნობა რა მასების მხარდაჭერას, იგი გულდაჯერებით მიუძღვის ხალხს ახალი გამარჯვებებისაკენ დიდი ლენინის მიერ ნაანდერძევი ისტორიული საქმის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.**

**ძვირფასო ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მოქალაქეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ხმა მისცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს; თქვენი ერთსულოვანი ხმის მიცემა კვლავ მკაფიოდ გამოხატავს, რომ იწონეთ და მხარს უჭერთ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი, კვლავაც თავდადებით იბრძოლოთ კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის!**

### ყველანი არჩევნებზე!

**გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!**
**გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!**
**დიდება გმირ საბჭოთა ხალხს!**
**კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

---

# დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე

## თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**რესპუბლიკაში** წარმოებს დიდი მუშაობა მეცხოვრელობის — ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველაზე რთული ჩამორჩენილი და ყველაზე რთული ობნის ალმაცერობისათვის. უკვე დაისახა დადებითი ძვრები ხორცის, რძის, ციერცხის წარმოებაში, სრულდება მათი დამუშავების გეგმები. მაგრამ დარგის ზრდის ტემპი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, ვერ აკმაყოფილებს პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდინარე პლენუმ-ებზე მიღებულ გადწყვეტილებებს.

„ახლა, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში ალმა-ათის სახელმწიფო სხდომაზე, — საქმე ეხება იმას, რომ სოფლის მეურნეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი ადადეიოდანვნთ თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე, დაეღრმაოთ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია“.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მეცხოვრელობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, ხორცის, რძის, ციერცხის წარმოების გადაყვანისათვის სამრეწველო საფუძველზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ამასთან დაკავშირებით მეცხოვრელობის, ალრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შემდგომ განვითარებას თანადაყოფილ დახმარებას გაუწევს სოფლად საქართველო თათბირ-სემინარი მეცხოვრელობის, მეურნეობის, მეფრინველეობის, ბაღეულობის, ფერმერული მეურნეობის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის, ფერმერების ტექნიკური მომსახურებისა და მოწყობილობის რემონტის საკითხებზე, რომელიც გაიმართება საქართველოში 1975 წლის სექტემბერში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომავალი სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი მიიწვიეთ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ. საქმე ეხება მეცხოვრელობის ყველა შრომატევადი პროცესის მექანიზაციას, დარგის გაძლოლის კულტურას, რეზერვების ამოქმედებას, მეცხოვრელობის პროდუქციის წარმოების გაზრდასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. მეცხოვრელობის პროდუქცია ხომ ორის ავის პროდუქტებიც და ნედლეულიც ფსუბეჩი და კვების მრეწველობისათვის.

გასული წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელშიც დასახულია სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეთათვის, რომლებიც საქართველოში მოვიდნენ ალრეთვე ალბანეთიდან, ბულგარეთიდან, ალჟირიდან,

# კოოპერაციის ფორთა დიდი ფორუმი

„განვავითაროთ სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო, დამამზადებელი და საწარმოო საქმიანობა, რაც ხელს უწყობს ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური კავშირურთიერთობის გაფართოებას“.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან.

საქართველოს კოოპერატორთა ყრილობის მთელ მუშაობას საფუძვლად დაედება ის უაღრესად ღირებულ ფაქტები, ყოველივე ამან განაპირობა სამომხმარებლო კოოპერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მკვეთრი გაუარესება, მშრომელთა საკმარი მომსახურების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი და მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში დიდი ჩამორჩენა. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება რესპუბლიკის კოოპერატორთა 50 ათასიანი არმიისათვის ნამდვილ საბრძოლო პროგრამად გადაიქცა.

ამ დადგენილების შესასრულებლად ცეკავშირის გამგეობამ, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური და ქმედითი დახმარების მეოხებით, ბევრი რამ გააკეთა, რამაც პირველ ოგზში უზრუნველყო კადრების შემადგენლობის როგორც ძირითადის, ისე ცენტრალური აპარატის განმტკიცება, წვრილ, დაჭაკულ საწარმოთა გამხსვნელება, სარეგიზიო, საკონტროლო აპარატის გაძლიერება და სხვ.

ცეკავშირმა გასულ წელს 40 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია მიაყიდა სოფლის მშრომელებს, ვიდრე 1972 წელს. წელს პირველ კვარტალში საქონელბრუნვის ზრდის ტემპით ერთ-ერთ პირველ ადგილზე ვართ ცენტროსოფუნის სისტემაში.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა მოგების გეგმა, შემცირდა დანაკარგები, მშენებლობა ბევრი მაღაზია და სასადილო ჩაბარეს მოსახმარებლებს.

ცეკავშირის გამგეობამ გააანალიზა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები სისტემაში სასელმწიფო წესრიგის დასამყარებლად. მოვახდინეთ ზოგიერთი რეორგანიზაცია, სისტემატურად ვაწყობთ რეიდებს, რომელთა შედეგები განიხილება გამეორებულ სხდომებზე, შუქდება პრესის ფურცლებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, დამსახურებათა ხალიკვიდაციად ჯერ კიდევ საჭიროა შედეგი არ არის მიღწეული. ამიტომ საჭირო იქნება საზოგადოებრიობის ფართო მასებში შეექმნათ დარღვევა-დამახინჯებათა მიმართ შეურიგებლობის ატმოსფერო და აგვაღოთ კოოპერაციის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ცეკავშირის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა შემდგომში ჩვენი სისტემის მრეწველობის განვითარება ძირითადად წარიმართოს კვების მრეწველობის განსრით. ამგვარად დასახულია ღონისძიებები სამომხმარებლო კოოპერაციის ცხოვრებაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც იუბერვალ-ამრილში გაიმართა, რესპუბლიკაში 3740 საუბნო კრება ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო 912.000 მეპაიემ, ანუ მეპაიეთა საერთო რიცხვის 72 პროცენტმა. საუბნო კრებებმა კოოპორგანიზაციათა უმრავლესობაში ორგანიზებულად ჩაიარა.

მშრომელთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს დიდი ყურადღება უნდა მიექცეთ როგორც კოოპორგანიზაციათა და ცეკავშირის გამგეობებმა, ისე საგანგმო ორგანოებმა და სამრეწველო სამინისტროებმა.

კ. შავიშვილი,
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

# მშრომელებს — კეთილი მომსახურება

ძიებები სისტემაში სასელმწიფო წესრიგის დასამყარებლად. მოვახდინეთ ზოგიერთი რეორგანიზაცია, სისტემატურად ვაწყობთ რეიდებს, რომელთა შედეგები განიხილება გამეორებულ სხდომებზე, შუქდება პრესის ფურცლებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, დამსახურებათა ხალიკვიდაციად ჯერ კიდევ საჭიროა შედეგი არ არის მიღწეული. ამიტომ საჭირო იქნება საზოგადოებრიობის ფართო მასებში შეექმნათ დარღვევა-დამახინჯებათა მიმართ შეურიგებლობის ატმოსფერო და აგვაღოთ კოოპერაციის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ცეკავშირის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა შემდგომში ჩვენი სისტემის მრეწველობის განვითარება ძირითადად წარიმართოს კვების მრეწველობის განსრით. ამგვარად დასახულია ღონისძიებები სამომხმარებლო კოოპერაციის ცხოვრებაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც იუბერვალ-ამრილში გაიმართა, რესპუბლიკაში 3740 საუბნო კრება ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო 912.000 მეპაიემ, ანუ მეპაიეთა საერთო რიცხვის 72 პროცენტმა. საუბნო კრებებმა კოოპორგანიზაციათა უმრავლესობაში ორგანიზებულად ჩაიარა.

მშრომელთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს დიდი ყურადღება უნდა მიექციონ როგორც კოოპორგანიზაციათა და ცეკავშირის გამგეობებმა, ისე საგანგმო ორგანოებმა და სამრეწველო სამინისტროებმა.

კ. შავიშვილი,
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

## ეროვნული მეზიურ აფხაზეთი

თბილისელი და სოხუმელი მწერლები და ხელოვნების ოსტატები ხვდებიან აფხაზეთის მშრომელებს

სოხუმი. 17 მაისი. უაღრესად მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო აფხაზეთის მშრომელებთან თბილისელი და სოხუმელი მწერლებისა და ხელოვნების ოსტატების შეხვედრების მეორე და მესამე დღეები. ძირითადი და უმთავრესი, რაც ამ შეხვედრებს თან სდევს, ეს არის აფხაზეთის მშრომელთა განსაკუთრებული გულითადობა, ინტერესი და საერთო საქმიანი განწყობილება.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს სასტუმრო სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს გაფართოებული პლენუმის დასკვნითი სხდომა, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გრ. აბაშიძემ. მწერალთა კავშირთან არსებული აფხაზური მწერლობის საბჭოს თავმჯდომარემ კრიტიკოსმა გ. ასათიანმა თავის მოხსენებაში ვრცელად ილაპარაკა ქართული და აფხაზური ლიტერატურების საჭირო და სასარგებლო კონტაქტებზე, სხდომის მონაწილეებს გააცნო გეგმები, რომლებმიც გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი აფხაზური მწერლობის კიდევ უფრო ფართდ პროპაგანდისათვის.

შემდეგ დაიწყო მოხსენების განხილვა. ბევრ საყურადღებო საკითხზე ილაპარაკეს თავიანთ სიტყვებში სხდომის მონაწილე ქართველმა და აფხაზმა მწერლებმა: ნ. კვინტნიამ, კ. კალაძემ, შ. სალაყაიამ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორებმა ო. ჭურდულიამ და ხ. ადაკბამ, მწერლებმა ალ. ბეგიამ, ალ. გოგუამ, ბ. გურგულიამ, მ. მირნელმა, აფხაზეთის სახალხო პოეტმა ბ. შინკუბამ, ვ. ანკვაბამ, ჯ. ჩარკვიანმა.

სხდომის მუშაობა შეაჯამა გრ. აბაშიძემ, რომელმაც, კერძოდ, თქვა რომ აფხაზური მწერლობის ფუძემდებლის დ. გულიას 100 წლიუთავის იუბილეე, რომელიც წელს შემოდგომაზე აღინიშნება, იქნება საბჭოთა ლიტერატურის მიღწევათა ერთ-ერთი მეტყველი დადასტურება. დ. გულიას შემოქმედებაში ასახულია ყოველივე საუკეთესო, რითაც გამოირჩევა და ხასიათდება აფხაზი ხალხი.

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისსა და სოხუმში მოწეულ ფილოსოფოსთა სიმპოზიუმმა, რომელიც სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა, სიმპოზიუმი მიეძღვნა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და ეთიკის აქტუალურ პრობლემებს.

სიმპოზიუმში შესავალი სიტყვით გახსნა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ს. ანნაბაძემ.

სიმპოზიუმზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ბაგეგავაძე, ამავე ინსტიტუტის ესთეტიკის განყოფილების გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. კაკაბაძე, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, დოცენტი ტ. ბუაჩიძე, ინსტიტუტის ისტორიული მატერიალიზმის განყოფილების გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ს. ჯიოევი, სოხუმის პედინსტიტუტის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი შ. მისაბიშვილი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ფილოსოფიისა და სკკპ ისტორიის კათედრის გამგე დოცენტი ლ. ამბროლაძე, ამავე ინსტიტუტის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კათედრის პროფესორი ლ. ჯახაია.

სოხუმის ერთ-ერთ საუკეთესო კინოთეატრ „აფსუმში“ დიდი წარმატება ჰქონდა ახალი ქართული ფილმების პრემიერებს. ფილმებს შორის შესანიშნავად მოვიდნენ ქართველი კინემატოგრაფისტები.

შეხვედრა გახსნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარემ ვლ. ტანიამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველ კინემატოგრაფისტთა ქმნილებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს აფხაზეთში.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი, სსრკ სახალხო არტისტი ს. დოლიძე. ან მაყურებლებს წარუდგინა სტუმრად ჩამოსული ქართველი კინოშუმაკები, მსაბიობები, რეჟისორები, ოპერატორები: დ. წეროძე, ს. ჭიაურელი, ლ. აბაშიძე, მ. წულუკიძე, ვ. ჩხაიძე, ნ. სანაშვილი, გ. ჩირაძე, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორი ზ. ყეფარაძე.

მაყურებლებთან კინემატოგრაფისტთა შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კომახია, საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. საყვარელიძე, მდივანი თ. ფეოდოროვა, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ტორეულიანი და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

მრავალფეროვანია შეხვედრათა მხატვრული განყოფილება. სოხუმსა და სხვა ქალაქებში იმართება სიმფონიური და ფესტრადო მუსიკის კონცერტები, ეწყობა თბილისისა და სოხუმის მხატვრული, მუსიკალური კოლექტივების გამოსვლები, რომლებშიც აფხაზ მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობენ თბილისელი კომპოზიტორები და მუსიკოს-შემასრულებლები საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივნის გ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით.

აფხაზეთის მხატვართა კავშირის ნათელ, ფრცელ საგამოფენო დარბაზებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენის მთავარი თემა საბჭოთა აფაზეთის ცხოვრება, შემოქმედებითი შრომა. ექსპოზიციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვ. ი. ლენინის მონუმენტური პორტრეტი, რომელიც გამომეკრწილია სოხუმელი სკულპტორის ს. იანანბას მიერ, და სურათი „ლენინი ოქტომბერი“ ჯარისკაცებს შორის“ მხატვარ ი. ვეფხვაძის მიერ.

თბილისის, სოხუმის და ბათუმის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გახსნა აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრმა ი. ქეცბამ. ვერნისაჟზე გამოვიდნენ საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი ნ. ჯანბერიძე, პოეტი კ. კალაძე, მხატვრები რ. შერიზია, ს. ქობულია, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ა. არგუნი.

შაბათს, 18 მაისს მოეწყობა შეხვედრები ხალხიმო დახურეა და გაიმართება დიდი საზეიმო კონცერტი, აფხაზური და ქართული მხატვრული კოლექტივების, მუსიკოს-შემასრულებლთა და მსახიობთა მონაწილეობით.

ი. გოგბეჩია,
ლ. კიკნაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

# გულითადობა და სიყვარული

# ქართველ-ევროპელ მეზიურ აფხაზეთში

## ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲛᲔᲖᲘᲣᲠᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ

## ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ — ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

## ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ, 17 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. კოვალიოვი გვიტყობინებს: **გამოაცხადეს პორტუგალიის დროებითი მთავრობის პროგრამა, რომელიც იმეორებს 25 აპრილს გამოცხადებულ „შეიარაღებული ძალების მოძრაობის“ პროგრამას. ახლა მან კანონის ძალა მოიპოვა.**

დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ საფუძველი უნდა ჩაუყაროს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას პორტუგალიელი ხალხის, ავრეთვე ევროპიელ-ეროვნულ ფენების ინტერესებისათვის; გაანორციელოს ახალი სოციალური პოლიტიკა მშრომელთა ინტერესების დაცვის მიზნით და მიაღწიოს ყველა პორტუგალიელის ცხოვრების დონის ამაღლებას;

გამოიძიოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და მოქალაქეთა უფლებების უკანონო ხელყოფის ყველა შემთხვევა, ავრეთვე კორუფციის შემთხვევები; გაატაროს საგარეო პოლიტიკაში სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპები და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის აქტიური მხარდაჭერის კურსი, ამასთან დაიცვას მშვიდობა, გაფართოოს ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან და პატივი სცეს ბოქმედი ხელშეკრულებებით პორტუგალიის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს;

ცნოს ზღვის გადმა ტერიტორიებზე ფძის პრობლემის მოწესრიგება აუცილებელია პოლიტიკური საშუალებებით და გახანგრძლივებული ომი ბოლოს დასვას. ამის შედეგი იყო, რომ სოციალისტურ ბანაკს ეროვნული ეკონომიური ბაზა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მასში სხვარობდა მორეულებითობა, იგი თვითდინებაზე იყო მიშვებული. ყოველად შეუწყნარებლად უგულებელყოფდნენ ამ უდიდეს საშუალებას საბალანსო-სამეურნეო გეგმების წარმატებით გასანაღდებლად. ეს საქმე დღემდე კიდევ არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს.

საანგარიშო პერიოდში, ჩვენი XVI ყრილობის შემდეგ უდიდესი მოვლენა იყო სამომხმარებლო კოოპერაციის ცხოვრებაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც იუბერვალ-ამრილში გაიმართა, რესპუბლიკაში 3740 საუბნო კრება ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო 912.000 მეპაიემ, ანუ მეპაიეთა საერთო რიცხვის 72 პროცენტმა. საუბნო კრებებმა კოოპორგანიზაციათა უმრავლესობაში ორგანიზებულად ჩაიარა.

მშრომელთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს დიდი ყურადღება უნდა მიექციონ როგორც კოოპორგანიზაციათა და ცეკავშირის გამგეობებმა, ისე საგანგმო ორგანოებმა და სამრეწველო სამინისტროებმა.

კ. შავიშვილი,
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ XVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

**სურათზე:** საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVII ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი — (მარცხნიდან) ხობის რაიონის სოფელ შუაქვალონის მაღაზიის გამგე ნ. პარკაია, გურჯაანის რაიკოოპერატივის ეკონომისტი ა. ბერიკაშვილი, ახმეტის რაიკოოპერატივის ინსტრუქტორი ი. პატარაშვილი, ჩიბოროწყეს რაიონის სოფელ ხიბულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ე. ცირამუა, წითელწყაროს რაიონის რაიკოოპერატივის № 1 მაღაზიის გამგეადელეი შ. ბეგიაშვილი, ქარელის რაიონის უნივერმაღის სექციონერი შ. ყიფიანაძე, ხაშურის რაიონივერმაღის სექციონერი ნ. სუბიშვილი.

ᲒᲚ. ᲑᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

# პორტუგალიის დროებითი მთავრობის პროგრამა

# აპარტეიდის საფრთხე

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** 17 მაისი. (საკდესი). **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკის განხორციელება საფრთხეს უქმნის მშვიდობას არა მარტო აფრიკის კონტინენტზე, არამედ მთელ მსოფლიოშიც.** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სულ უფრო მეტად ხდება იმპერიალიზმის ერთ-ერთი ცენტრი, რომელსაც ეყენებენ დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოების მშვიდობიანი განვითარების წინააღმდეგ. ეს განაცხადა სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის გენერალურმა მდივანმა ალფრედ ნზომ ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „ნიიეს დეილნიუზეა“ გამოქვეყნებული.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეცადინეობის მეოხებით შექმნილი დაბალუფლების შენენელების ატმოსფერო, მათი ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი პროგრესული ძალების სოლიდარობა აფრიკის მებრძოლ ხალხებთან — ყოველივე ეს, აღნიშნა ალფრედ ნზომ, მნიშვნელოვნად ეუწყობს ხელს ეფექტიან ბრძოლას აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

# ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘ ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** 17 მაისი. (საკდესი). **პრეზიდენტი რ. ნიქსონი გაზეთ „ვაშინგტონ სტარ-ნიუსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში შეეხო „უოტერგეიტის საქმეს“, რომელსაც აღვიგებენ პრეზიდენტის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, და განაცხადა რომ არაფერში არ არის დამნაშავე და ითავიფარ შემთხვევაში არ აპირებს გადადგეს ანდა დროებით გადასცეს თავისი უფლებამოსილებანი ვიცე-პრეზიდენტს.**

**თუ წარმომადგენლობა პალატა, განაცხადა რ. ნიქსონმა, მიიღებს გადაწყვეტილებას, წამომიყენოს ბრალდებანი და შემდეგ დაიწყება ამ ბრალდებათა განხილვა სენატში, მე, რა თქმა უნდა, მზად ვიქნები გავიარო მთელი ეს პროცესი. ასე მოვიქცევი, რადგან ჩემი აზრით, ეს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი გამგეობის ხასიათისა და კონსტიტუციური პროცესის ინტერესებს ემსახურება.**

# Ი. ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ

**ᲑᲔᲚ�გᲠᲐᲓᲘ.** 16 მაისი. (საკდესი). **იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო ვეჩხა და რესპუბლიკების და ავტონომიური მხარეების საკუთარნინის ვეჩხა გაერთიანებულ სხდომაზე ითხია ბრონ ტიტო აირჩიეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტად ამ უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე განუსაზღვრელი ვადით.**

დელეგატები და მრავალრიცხოვანი სტუმრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები გულთბილად შეხვდნენ საკუთარნინის სხდომაზე მოსულ ი. ბროზ ტიტოს. საკუთარნინის თავმჯდომარემ კ. გლიგოროვმა წაიკითხა კენჭისყრის შედეგები და ქვეყნის კონსტიტუციის საფუძველზე ი. ბროზ ტიტო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის პირველი სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა ი. ბროზ ტიტოს თავმჯდომარეობით.

სხდომის მონაწილეებმა პ. სტამბოლიჩი აირჩიეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ, ავრეთვე მხარი დაუჭირეს წინადადებას იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ეგზეკუტიული თავმჯდომარედ დ. ბიუდჩის ახალი ვადით არჩევის შესახებ.

# ᲡᲔᲡᲘᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

**პრაღა.** 17 მაისი. (საკდესი). **აქ მუშაობა დაამთავრა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიუროს სესიამ.** სესიაში მონაწილეობდნენ ეროვნული პროფკავშირული ფედერაციები, მათ შორის იყო საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. შელეპინის მეთაურობით.

სესიაზე განიხილეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის პ. ჯანსუსის მოხსენება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიუროს წინა სესიის შემდეგ განვლილი პერიოდის მანძილზე პროფკავშირული მოძრაობის მდგომარეობის შესახებ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიურომ გადაწყვიტა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან შეიქმნას საკონსულტაციო ორგანო სოციალურ-ეკონომიურ საკითხებზე.

სესიაზე მიიღეს ურუგვაის მშრომელებთან და ხალხთან სოლიდარობის განცხადება, აგრეთვე მთელი რიგი რეზოლუციები საერთაშორისო საკითხებზე.

# Ვ. ᲨᲐᲒᲐᲚᲘᲡ ᲕᲘᲢᲠᲐᲟᲘᲔᲑᲘ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,** 17 მაისი. (საკდესი). **რეგბის განთქმულ ტაძარში დაიწყო ცნობილი თანამედროვე მხატვრის მარკ შაგალის მიერ შექმნილი ექვსი ვიტრაჟის დადგმა. ისინი შეცვლიან პირველი მსოფლიო ომის დროს დამსხვრეულ ვიტრაჟებს. წინათ მ. შაგალმა უკვე შექმნა ვიტრაჟები მეცის ტაძრისათვის. მხატვარს ეს ახალი ნამუშევარი მიაჩნია თავის ერთ-ერთ უყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებად.**

**სურათზე:** ქართველი და აფხაზი მწერლები და კეულტურის მოღვაწენი დ. გულიას ძეგლთან.

**Ი. ᲤᲝᲢᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ, (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).**

# ᲥᲔᲠᲑᲐ-ᲔᲗᲜᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲘᲗ

**ᲑᲠ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ,**
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე

**მაისის** ამ დიდებულ მზიან დღეებში დიდი ზეიმია აფხაზეთში — ქართველი მწერლები და ხელოვნების ოსტატები ხვდებიან თავიანთ ძმებს — აფხაზეთის მშრომელებს, აფხაზ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს. ეს შეხვედრები დიდმნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ აქ, ამ მაღლიან მიწაზე აფხაზი მასპინძლები იჩენენ მათთვის ჩვეულ სტუმართმოყვარეობას. და გულითადობას, არამედ განსაკუთრებით ამით, რომ ქართველ და აფხაზ შემოქმედთა ახალგაზდელი უშუალობით აღბეჭდილი კონტაქტები ბევრს საინტერესო და ახალ მიღწევას წარმოაჩენენ და გასაგებს ხდიან.

ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის შესანიშნავი რაზმი აფხაზი მწერლებისა თავიდან წოგნებით, თავისი ნაწარმოებებით მხარში უდგას მშრომელ ხალხს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრული წლის ყველა დავალების და გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში თავისი წვლილი შეიტანოს, თავისი სიტყვა თქვას.

**Ე. ᲥᲕᲘᲫᲒᲐ,**
ქარხანა „სოხუმელსაწყოს“ საინსტრუმენტო საამქროს მუშა

**ᲩᲐᲛᲔᲜᲘᲗᲘᲡ,** სოხუმის მუშათა კლასის წარმომადგენლებისათვის, აფაზეთის მშრომელებისათვის მარად დაუვიწყარი იქნება ეს დღეები, ეს შეხვედრები, რომლებიც მშვენიერად არის მოფიქრებული და ღრმამნიშვნელოვანადაც ტარდება. ცხადია, ჩვენ გვითხულობთ ჩვენი სახელოვანი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს, ვესწრებით თეატრალურ წარმოდგენებსა და კონცერტებს, ვნახულობთ ფილმებს, რომლებიც ხშირად ძალიან დიდ სიამოვნებასა და სიხარულს გვანიჭებენ. მაგრამ სულ სხვა სიღლმაზე და შინაარსი აქვს ამას, როცა პირადად ხედავ და ესაუბრები მწერალს, მსახიობს, მხატვარს, კომპოზიტორს, როცა უშრალოდ, არაფიციალურ ატმოსფეროში უამბობ საკუთარ ყოფაცხოვრებაზე, მეგზაობაზე, როცა იგი — ხელოვანი, შემოქმედი თავის ფიქრებს გაგიზიარებს, თავის გეგმებს გაგაცნობს, ამ ვეგზეგების და ჯერ კიდევ განუხორციელებელი ჩანაფიქრის მოზიარედ გაგხდის.

ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ამჟამინდელ შეხვედრებს მწერლებთან და ხელოვნების მუშაკებთან ამიტომაც სუფევს ასეთი გამოცოცხლება, ფუფუსი, დაინტერესება. მინდა ჩემი მადლობა მოვახსენო ყველას, ამ მშვენიერი ღონისძიების მომწყობთ და მის მონაწილეებს.

# ᲚᲐᲓᲝ ᲡᲣᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

# ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ

ზღვისპირეთის მთა და ბარის
შვილები ვართ, და-ძმანი.
ვერავინ ვერ შეგვილახოს
ეს ღვთიური ტაძარი.
ძმობის სულმა არწივივით
ფრთები მოგვაფართქუნა,
ეენ მიმღერე აფხაზურად,
მე გიმღერებ ქართულად.
შმობელ ხალხის ჭირ-ვარამი
ერთნაირად გვადელვებს.
მკერდს ძმებივით დავახვედრებთ
ვინც ხმალს შემოგვალერებს.
ძმობის სული გვიდგას გულში,
ძმობის გული გვიფეთქავს.
ძმობის ვაზი გავახარეთ,
მერე ერთად ვკრიფეთა.
მამულისთვის ხმაშეწყობით
გალობს ძმობის ფანდური,
შენი აფხაზური ლექსით,
ჩემი ლექსით ქართულით.
შმობელ კლდეზე კალამს ლესავთ,
ნაპერწკლებს ჰყრის კალამი.
ვართ მედროშე-მეციხოვნე
ერთი ციხე-ბალავნის.
სიყვარულის ჰიმნში არის
ჩახლართული, ჩართული
შენი აფხაზური ენა,
ჩემი ენა ქართული.
ძმობის სულმა არწივივით
ფრთები მოგვაფართქუნა.
შენ მიმღერე აფხაზურად,
მე გიმღერებ ქართულად.

**ᲡᲝᲮᲣᲛᲘ, 16 ᲛᲐᲘᲡᲘ.**

## საქართველოს ამა-ბაგში

### შეხვედრა გმირ მშენებელთან

**სამტრედია.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა ამ დღეებში შეხვედრა მოუწყეს სოფლის მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 25 მოძრაკი მექანიზებული კოლონის წარჩინებულ ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს დავით ბალდავაძეს. სარაიონო კულტურის სახლში შეხვედრისადმი მიძღვნილ ზეიმს ესწრებოდნენ ტყიბულელებ, ჭიათურელებ, თერჯოლელებ, ბაურეთელ თბილისიდან ჩამოსული საძმეებლო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

### ლექციები მწყემსებთან

ყაზბეგში. (საკ. კორ.). საინტერესო ლექციები წაიკითხა ამ დღეებში კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე მყოფი ყაზბეგელი მწყემსებისათვის საზოგადოება „ცოდნის" რაიონული ორგანიზაციის ლექტორმა ვ. ყამარაულმა.

„საბჭოთა კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში", „საბოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და მიწის კანონმდებლობის შესახებ", „სოციალისტური საკუთრების დატაცების კვალიფიციური სახეები" — აი ის ლექციები, რომლებიც მოუწონათ მეცხოველეებს.

# მცხეთური კერამიკა ვარიფში



მცხეთაში ბევრი ტაძარია — ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო... მაგრამ ამ უძველეს ქალაქს აქვს არა მარტო დიდი ისტორია. აქ არის ბევრი ისეთი რამ, რაც მატიანის ხვალინდელი ფურცელია, სამაყო და სასიქადულო. ეს დღევანდელი მცხეთაა, მისი ადამიანების შრომა და შემოქმედება.

სვეტიცხოველის მახლობლად ლაის ორხარუულიანი შენობა, სადაც იქმნება მხატვრული კერამიკის შესანიშნავი ნიმუშები. ისინი უკვე მთელ მსოფლიოს აოცებენ.

ეს შენობა, სადაც მხატვრული კერამიკის ქარხანაა მთავაზებული, თბილისის სახელმწიფო აკადემიის კუთვნილი, სტუდენტებისა და დიპლომანტებისათვის იგი ლაბორატორიის როლსაც ასრულებს.

შარშან ქარხანაში სტუმრად იყვნენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ტომსკი, ვიცე-პრეზიდენტი, აწვარდაცვლილი ევგენი გუსეტიჩი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი დიმიტრი შმარინოვი და სხვები. ქართველ მხატვრებთან საუბარში. შმარინოვმა განაცხადა: „მსოფლიო ხელოვნების სიამაყეა მცხეთის ჯვარიცა და სვეტიცხოველიც. ამიტომ ახალგაზრდა ქართველი კერამიკოსები თავიანთი ქარხნისათვის უკეთეს ადგილს ნამდვილად ვერ შეარჩევდნენო".

კერამიკულ ქარხანა-ლაბორატორიაში შეიძლება გაიცნოთ პარიზის საავარო პალატიდან ქარხნის დირექტორის მხატვარ მიხეილ გიორგაძის სახელზე გამოგზავნილ წერილს: „პატივცემულო ბატონო დირექტორო, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ქართული მხატვრული კერამიკის ნიმუშები — ფიალები: „თამარი", „აზარფეშა", „რეკვა", „ქართული დოქები, ხარჩოს, ლობიოს სერვისები და სხვა ნაწარმი".

და აი, 46 დასახელების 1.600 კერამიკული ნაწარმი გაიგზავნა ამ საწარმოდან პარიზში. ამას გარდა მცხეთის კერამიკა გამოფენილი იყო კანადაში, კვებეკში მონრეალში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქარხანა-ლაბორატორიას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. თბილისის სამხატვრო აკადემიას სპირდებოდა ბაზა, სადაც მხატვრული კერამიკის და მინის კათედრის სტუდენტებს ჩასწვდებოდნენ ძველი ხელოვნების საიდუმლოებას და შექმნიდნენ ახალ, თავისებურ ნაწარმოებებს. სწორედ ამიტომ ამ ათიოდე წლის წინათ გაიხსნა ეს კეთილმოწყობილი ქარხანა-ლაბორატორია.

ქარხნის ნაწარმს მსოფლიო აღიარება აქვს. ქართული კერამიკა საფრანგეთის გარდა იგზავნება ამერიკაში, ინგლისში, ინდოეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. ქარხანა-ლაბორატორიამ მუშაობა დაიწყო 15 ნიმუშით, დღეს კი მის კატალოგში მრავალზე მრავალი ნაწარმია, რომლებსაც ქმნიან სამხატვრო აკადემიის კერამიკისა და მინის კათედრის პროფესორ-მასწავლებელი (გამგე პროფ. ბ. ქართველიშვილი).

საწარმოს კოლექტივმა ორჯერ მიიღო საკავშირო საავარო პალატის ჯილდო მაღალმხატვრული ეროვნული კერამიკის ნაწარმთა შექმნისა და დამზადებისათვის.

**ს. ნაციაშვილი,**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

* * *

**სურათებზე:** ქართული მხატვრული კერამიკის ნიმუშები.

### მასპინძლოგენ სომეხი მეგობრები

**შეჯიბრება აასლოებს ადამიანებს**

ზსტაფონი. (საკ. კორ.). ორი ათეული წელია მეგობრობენ ზესტაფონისა და მოძმე სომხეთის რესპუბლიკის ალავერდის რაიონის მშრომელები. განსაკუთრებით დამეგობრდნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ალავერდის სპილენძსადნობი კომბინატის კოლექტივები. ისინი ურთიერთს ეჯიბრებიან, უზიარებენ საწარმოო გამოცდილებას, ჭედენ საერთო წარმატებებს.

ორი მოძმე რესპუბლიკის მეტალურგები ერთმანეთს უწევენებენ თავიანთი თვითშემოქმედებასაც, ამას წინად ქარხნის ქორეოგრაფიული და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ფიფქები" (ხელმძღვანელები ს. საჭაპურიძე და მ. წაქაძე) ალავერდს ესტუმრა. მათ გულითადად და სტუმართმოყვარულად მასპინძლობდნენ სომეხი მეგობრები.

ანსამბლმა სამი დღე დაჰყო სომხეთში, რამდენიმე კონცერტი გამართა ხტალის მაღაროელებთან და ალავერდის სპილენძსადნობი კომბინატის კულტურის სასლში.

## კ. გ. გეჭვაია

### ერთგული ბიგლიერი

გარდაიცვალა პარტიული და სამეურნეო დარგის გამოცდილი მუშაკი ქირილე გიორგის-ძე ბეჭვაია.

კ. ბეჭვაია დაიბადა 1905 წელს გეგეჭორის რაიონის სოფელ დიდჭყონში ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი 1921 წელს შეკრიბა კომკავშირის რიგებში. მუშაობდა კომკავშირის სოხუმის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორად, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1927 წელს მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. შემდეგ მუშაობდა ჯერ პარტიის სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებების გამგედ, პარტიის გეგეჭორისა და ზუგდიდის რაიონული კომიტეტების პირველ მდივნად, შემდეგ პარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნად.

1940 წელს კ. ბეჭვაია საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარი იყო, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ მეწყობმოქმედების სახალხო კომისრის პირველი მოადგილე და პოლიტსამმართველოს უფროსი. 1944-1952 წლებში მუშაობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1953 წელს კ. ბეჭვაია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე იყო.

1954 წლიდან კ. ბეჭვაია პასუხისგებ საბჭოთა სამეურნეო თანამდებობებზე მუშაობდა. იგი არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. იყო საბჭოთა კავშირის სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, თავისი უმწიკლო მუშაობით საზოგადოების ღრმა პატივისცემა დაიმსახურა.

საქმიანი, პრინციპული და გულისხმიერი მუშაკის კ. ბეჭვაიას ხსოვნას დიდხანს არ დავიწყებენ მისი მეგობრები და ამხანაგები.

**ამხანაგების ჯგუფი.**

### პრეტენდენტთა მატჩი

## დასანანი შეცდომა

**რიგა.** (ჩვენი სპეც. კორ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოქადაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში მარტა შულთან ორი გამარჯვების შემდეგ ნანა ალექსანდრიამ, რომელიც მესამე პარტიაში თეთრებით თამაშობდა, წააგო. მან მეცხრამეტე სვლაზე თავისთვის უკეთეს პოზიციაში უხეში შეცდომა დაუშვა. — დაკარგა. ფიგურა და ოცდამეერთე სვლაზე დანებდა მოწინააღმდეგეს. აი როგორ წარიმართა ეა ჯარტია.

**მესამე პარტია**
**ალექსანდრია — შული**
**ესპანური პარტია**

**1. e4 e5 2. df3 dc6 3. db5 a6 4. da4 df6 5. d4 ed 6. 0-0 de7 7. e5 de4 8. d:d4 d:d4 9. e:d4 dc5 10. dc3 d:a4 11. d:a4 0-0 12. df4 dg6 13. dc3 b6 14. gad1 ga7 15. dd5 dc5 16. ed2 db7 17. dfe1 ef4 18. dg3 eg4 19. h3?? e:g3 20. df4 g5** თეთრები დანებდნენ.

მატჩის ანგარიშია 2:1 ალექსანდრიას სასარგებლოდ. გუშინ მეტოქეები ისევენებდნენ. მეოთხე პარტია გაიმართება დღეს, თეთრებით ითამაშებს შული.

□

### საქართველოს პირველობაზე

**ვაჟთა** პირველობის მეთხუთმეტე ტურნი კიდევ უფრო ცხარეტკიცა მდგომარეობა შეჯიბრების ლიდერმა — ოსტატმა უბილავამ, რომელმაც დაამარცხა ზაირაკი, გუფელდა მოუგო ჩიგოგიძეს, ლომაიამ—ალკატოზიშვილს, ბიბილაშვილმა — ჯიბაშვილს, ყაინაზე შეთანხმდნენ მექაე-ტუზოვაკი, ბოკუჩავა-ჯინჯიხაშვილი და აბაზიფარაშვილი-ბუტუბულაძე. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: უბილავას 12,5 ქულა აქვს, გუფელდს — 11,5, ჯინჯიხაშვილს — 9,5.

ქალთა ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრებისას კახაბრიშვილმა დაამარცხა წერეთელი, ბაშინურიძემ — აპრესოვა, ბელოზიოროვამ — მანგელოვა, ხუციშვილმა — თანდაშვილი და ბელოზიოროვა და ყაინით დაამთავრა შეჯიდრა გურიელთან.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ნაწარის კობაიძე — 12 ქულა.

**ე. მელიქსეთბეგი.**

### ფეხბურთი

## დინამოელთა ტურნე კავკასიაში

კავკასია, 16 მაისი. (სპეციალური კორ.). ოთხი ამხანაგური შეჯიდრა გამართა კუბელ წყალბურთელებთან თავისუფლების კუნძულზე სტუმრად მყოფმა თბილისის „დინამოს" გუნდმა. პირველი მატჩი დინამოელებმა ჩამოსვლისთანავე ჩაატარეს მოსკოვრაბათ-ბავანის მრავალსათიანი დამჭანცველი გადაფრენის შემდეგ. სტუმრებმა წააგეს ქვეყნის ნაკრებთან — 4:8. სამაგიეროდ, ერთი დღის შემდეგ განმეორებით შეხვედრაში თბილისელებმა გაიმარჯვეს — 9:8.

შემდეგ მატჩში სტუმრების მეტოქე იყო კუბის ახალგაზრდული ნაკრები. ქართველმა წყალბურთელებმა ეს შეხვედრაც მოიგეს — 11:5. ბოლო მატჩში „დინამოს" გუნდი კვლავ კუბის ეროვნულ ნაკრებს შეხვდა. დაბაბული შეხვედრა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 5:4. ყველა მატჩს კუბელი არბიტრები სჯიდნენ.

— მიუხედავად ახალგაზრდობისა, კუბელები გამოცდილი წყალბურთელები არიან, — უთხრა საკდისის კორესპონდენტს დინამოელთა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა როსტომ ჩაჩავამ. — მიუხედავად ოლიმპიურ ასპარეზობაზე კუბელებმა საპატიო მეექვსე ადგილი დაიკავეს, ხოლო უკანასკნელ წლებში შინ არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ — იტალიის ნაკრებთანაც კი, რომელიც ჩვენს ჩასვლამდე სტუმრად იყო კუბაში. ჩვენი ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. დიდი სიცხისა და საათობრივი სხვაობის მიუხედავად მათ საინტერესო თამაში აჩვენეს.

თბილისის „დინამოს" გუნდი სამშობლოში გაფრინდა.

### ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

**გაზეთ** „იზვესტიის" 1974 წლის 16 მაისის ნომერში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის 1974 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაშვებული ნაწარმოებების სია.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაშვებულ ნაწარმოებთა, კერძოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების საბჭოსგან ნაწარმოებთა შორის არის მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი **„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"**, რეჟისორი **გ. დ. ლორთქიფანიძე.** როლების შემსრულებლები **ლ. ბ. ახედჟაკოვა, ვ. ა. კაჩანი.**

წარდგენილია მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის მთავარი სამმართველოს მიერ.

### მედიცინა და ცხოვრება

ტყის ნელი ფაჩი-ფუჩი, ნაკადულის ჩუხჩუხი, ბალახის ნაზი შრიალი — ბგერათა მშვენიერი ჰარმონია! მათი მოსმენა შეუფარებელ სიხარულს გვგვრის. მაგრამ აი ხდება უბედურება: ადამიანი კარგავს ბუნების ფასდაუდებელ ძღვენს — სმენას: ამაში არაიშვიათად ბრალი მიუძღვის ოტოსკლეროზს. ეს ავადმყოფობა ცნობილია ორ საუკუნეზე მეტი ხანია, მაგრამ მეცნიერებმა დღემდე ვერ დაიგრიეს სარწმუნო ცნობები იმაზე, თუ რატომ ჩნდება და ვითარდება იგი.

როცა ადამიანს ნორმალური სმენა აქვს, ბგერის ტალღა დოლურ კარსს მიაღწევს, არყევს მას და მასთან ერთად სასმენი ძვლების წყებას, რომლებიც რყევათა „ესტაფეტას" გადასცემენ სმენის ნერვს, და ამ გზით გაღიზიანება აღწევს თავის ტვინის ქერქს. ერთ-ერთი ძვალი — უზანგი მიდა ყურში მიმავალ სარკმელშია. ზოგჯერ რაღაც მიზეზის გამო სარკმელში ღრუბლისებრი ძვალი იზრდება, და უზანგი ეძრავი ხდება. ბგერის ტალღის გზაზე დაბრკოლება იქმნება, გაღიზიანება ტვინამდე ვერ აღწევს და ადარ აღიქმის. სწორედ ეს არის ოტოსკლეროზი.

იგი ჩვეულებრივად ახალგაზრდობაში იწყება, სმენის შემცირებას ადამიანი შემთხვევით შეიტყობს. ან ერთი ავადმყოფი ქალის ნაამბობი: „როგორღაც გვერდზე დავწექი და მაგიდის საათის ტიკტიკი ვეღარ გავიგონე, მეგონა, საათი გაჩერდა მეთქი. გულაღმა დავწექი, და საათი „ამუშავდა".

დეფექტი თანდათან ძლიერდება და მეორე ყურზეც გადადის. ავადმყოფები უჩივიან ხმაურს ყურებში, რაც განსაკუთრებით აწუხებს მათ, როცა ირგვლივ სიჩუმეა. და პირდაპირ აუტანელი ხდება ღამით. საქმე იქამდე მიდის, რომ ოტოსკლეროზით ზოგი დაავადებული თხოულობს იხსნან იმდენად ხმენის შესუსტებისგან კი არა, რამდენადაც ამ აუტანელი „ხმაურმშლელი" ხმაურისაგან.

ყურის გასინჯვა ჩვეულებრივად ეკმარ ნაკლებ ცნობებს აძლევს დიაგნოზის დასადასტურებლად — დოლურ კარსს ნორმალური სახე აქვს, ცვლილებები არ ემჩნევა. ამ საფუძველზე ასეთი აფორიზმიც კი გაჩნდა: „ოტოსკლეროზის დროს ექიმი ვერაფერს ხედავს, ავადმყოფს კი არაფერი ესმის". სურათის გარკვევას ხელს უწყობს სმენის გამოკვლევა კამერტონებით და სპეციალური ელექტროაკუსტიკური აპარატით — აუდიომეტრით.

ბევრი ძალა დასჭირდა ოტოსკლეროზთან ბრძოლის გზების ძებნას. სცადეს მისი მკურნალობა ბევრნაირი მედიკამენტებით, ფიზიოთერაპევტიული საშუალებებით, მაგრამ ამან ხალმო ეფექტი ვერ გამოიღო. მთელ რიგ შემთხვევებში მოხერხდა მხოლოდ სენის ამა თუ იმ სახის შესუსტება, მაგრამ ძირითადი რამ — სმენის ნაკლებობა ძალაში რჩებოდა.

ჩვენს დროში ფართოდ გავრცელდა ქირურგიული მეთოდები, რასაც ხელი შეუწყო ოპერაციული ტექნიკის განვითარებამ, ორიგინალური ინსტრუმენტარიუმის, რიული ოპტიკური ხელსაწყოების შექმნამ, ანტიბიოტიკების გამოყენებამ. ოპერაციის მიზანია ისეთი პირობების შექმნა, რომ ბგერას შეეძლოს შინაგან ყურში შეღწევა. მაგრამ როგორ? მანამდე უძრავი უზანგის შერყევის ცდებს შედეგი არ მოჰყავა. მაშინ დაიწყეს „უზანგის" ნაწილობრივ ან მთლიანად მოცილება და მისი შეკვეთა პლატმასის პროთეზით. მაგრამ ეს ქირურგიული ჩარევაც ყოველთვის როდი აუმჯობესებდა სმენის. ძვლებამ მეცნიერები მიიყვანა ახალ, უარესად შეღავათიან მეთოდამდე. ექიმები უზანგის ფუძეში პატარა ნახვრეტს აკეთებენ და შიგ დგამენ პლატმასის დეტუმს.

ძნელია აღწერის იმ ადამიანთა გრძნობები, რომლებმე მრავალი წლის მანძილზე მომორჩეული იყვნენ ბგერათა სამყაროს და კვლავ მიეღებათ სმენა. „შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი სიხარული, — ვკითხულობთ ერთი ავადმყოფის წერილში, — როცა 22 წლის სიყრუის შემდეგ კვლავ ვეთვე შესაძლებლობა ვცხოვრობდე ისე, როგორც ყველანი. მესმოდეს ფრინველთა გალობა, ტყის შრიალი, ბახლობელთა ლაპარაკი".

თუ ოტოსკლეროზი ძალიან თავმინებულია, ავადმყოფურმა პროცესმა შეიძლება მოიცვას სმენის ნერვი. მაშინ ქირურგების შესაძლებლობანი მკვეთრად იზღუდება — ჯერჯერობით მიგნებული არ არის ნერვული ქსოვილის გაცოცხლების საშუალება. სწორედ ამიტომ ყოველმა ადამიანმა, რომელიც შეამჩნევს, რომ უმიზეზოდ ყურში „დაუგუბდება" ხოლმე, ან მუდმივი ხმაური უჩნდება, დაუყოვნებლივ უნდა გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა, რომ დროზე დაიწყოს მკურნალობა.

**ვ. კურგუზოვა,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ოტოსკლეროზია? თავს ნუ მიანებებთ

### თოვლი... და ჭექა-ქუხილი

კრასნოიარსკი, (საკდისის კორ.). ახლა უჩვეულოდ გამოიყურება მდინარე ენისეიზე მდებარე ეს ქალაქი. სახურავებზე, ქუჩებში და მოედნებზე, ახლად აშენებულ ხეებზე თოვლის სქელი ფენა დევს. გუშინ ჭექა-ქუხილით დაიწყო თოვა, რომელიც დღეს თადათანობით წყდება. დღე-ღამის მანძილზე მოვიდა თითქმის 40 მილიმეტრი ნალექი, რაც ერთი თვის ნორმას აღემატება.

ასეთი თოვა ციმბირისთვისაც კი მეტად იშვიათია. ასეთი რამ, სულ ცოტა, არ ყოფილა 80 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კრასნოიარსკში რეგულარული მეტეოროლოგიური დაკვირვება წარმოებს.

## ეკრანიზაციის უჩვენებს ეფილი

### ტელევიზია

**18 მაისი**

**პირველი პროგრამით**

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „თქვენთვის მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მხატვრული ფილმი „შავი მგელი", 12.30 — „სამი შეხვედრა" — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.50 — კინონარკვევი, 13.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 13.30 — „თეატრალური შეხვედრები" (გამეორებით), 15.15 — „ფიზკულტურულ კოლექტივებში", 15.40 — „ახალგაზრდობა" — სტელევიზიო პროგრამა, 16.20 — კინონარკვევი, 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეებისათვის, 17.20 — ჩვენი სატელევიზიო ფოსტა, 17.40 — „პოეტი სტუდიაში" — ოთარ შალამბერიძე, 18.00 — ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი" ქუთაისის ოპერის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით, 19.10 — „კინონიერების სადარაჯოზე", 19.40 — აფხაზეთის მშრომელებთან თბილისელი და სოხუმელი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების შეხვედრის დასკვნითი საღამოს ტრანსლაცია, 21.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „მუსიკა და კინო", 23.25 — ახალი ამბები.

**19 მაისი**

**პირველი პროგრამით**

09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — „ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ ვოლინდებთ" (ფილმი), 10.05 — ფერადი ტელევიზია: ფერადი ტელევიზიის ფილმი „ოერზაური არაფრის გამო", 13.45 — კინონარკვევი, 14.00 — „30 წუთი კინოსმოყვარულთათვის", 14.30 — ფერადი ტელევიზია. „ადამიანი, მიწა, სასყარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა", 15.30 — „ჯანმრთელობა — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — „ბავშვებისათვის: კინოკონცერტი, 16.55 — „ახალგაზრდობა": სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — „აფრიკის განთავისუფლების დღე", 18.00 — „აშკარა დაუჯერებელი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „კანონიერების სადარაჯოზე", 19.15 — „ახალგაზრდა მუშის ფილარმონია", 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — ფერადი ტელევიზია: საბჭოთა კავშირი — ავსტრია. სტუდიაში ტელევიზიისა და რადიოს პოლიტიკური მიმოხილვეული ა. პოტაპოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „საკონცერტო დარბაზებში", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეებისათვის — „ციხფერ ეკრანზე", 23.45 — ახალი ამბები.

**20 მაისი**

16.30 — სატელევიზიო ფილმი, 17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — ფერადი ტელევიზია მოსწავლეთათვის — პიონერების შეკრება კრემლის ყრილობათა სასახლეში, 18.30 — „ხუთწლედი მოქმედებაში", 18.50 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.10 — ქართული ბალადური სიმღერები, 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — სპორთაშორისო შეხვედრა შუხბურთში. საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ოდესიდან), 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი — „თავსაფრიანი დედაკაცი" — (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 23.20 — ახალი ამბები.

**21 მაისი**

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სკოლების დასახმარებლად: ფიზიკა (VI კლასელთათვის. მექანიკური ენერგიის გამოყენება), 11.25 — კინონარკვევი, 11.45 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია უმაღლეს მათემატიკაში. 16.45 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ქართული ენაში, 17.30 — ბიოლოგიაში, 18.15 — განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის — „სასაუქრო", 19.00 — რეკლამა, 19.10 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 19.35 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები", 20.05 — „იავნანა" — სატელევიზიო ეურნალი ქალებისათვის, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სპორტული მიმოხილვა, 22.50 — ახალი ამბები.

**22 მაისი**

10.05 — ფერადი ტელევიზია: დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია მოსწავლეთათვის „ხელმარჯვე ოსტატები", 11.00 — სატელევიზიო დადგმა „ბაქცევა" — პირველი ნაწილი, 17.05 — სკოლების დასახმარებლად: რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — სკოლების დასახმარებლად: ინგლისური ენა, 18.15 — მოსწავლეთათვის — „გაბედული ფოტოთნადირე", 18.30 — განცხადებები, 18.35 — დოკუმენტური ფილმი „ეკოცხ ერისის ტრაკერსზე" (ქართულ ენაზე), 18.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცოლნა", 19.35 — „შეჯიბრება წარმატების საწინდარია", 20.00 — სატელევიზიო ფილმი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „დეპუტატების კანდიდატები", 21.45 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ბალეტი ბალეტზე" — ბალეტ „ბაიადერკის" ფრაგმენტები.

**23 მაისი**

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია: ჩეზოი „თოლია". — გორკის სახელობის მოსკოვის მხატვრული აკადემიური თეატრის სპექტაკლი, 17.05 — ლექციები უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.50 — სსრკ ისტორიაში, 18.35 — განცხადებები, 18.45 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი), 20.45 — „ხალხი და მისი რჩეული", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვის საპასუხოდ — „ახალგაზრდა პარტიაში მიიღეს", 22.00 — კინონარკვევი, 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „მუსიკა და კინო", 23.25 — ახალი ამბები.

**24 მაისი**

10.05 — ფერადი ტელევიზია: დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — სკოლების დასახმარებლად: ქართული ლიტერატურა (X კლასელთათვის. ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიმოხილვა), 11.25 — სატელევიზიო დადგმა „ბაქცევა" (II ნაწილი), 15.45 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია ზოგად ფიზიკაში, 16.45 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია ფიზიკაში, 17.45 — „არჩევნებიდან არჩევნებამდე" — საკავშირო რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — „ხიასლენი წარმოების ორგანიზაციაში", 18.40 — „მუსა ჯალილის ლექსების ნაკვალევზე", 19.30 — „სოციალიზმის სამყარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ეუმორის საღონი", 20.20 — კინონარკვევი, 20.40 — „სასაზო კონტროლის ეკრანი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. — მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „შემსვლელთა კვარა", 23.45 — ახალი ამბები.

**25 მაისი**

10.05 — ფერადი ტელევიზია დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის „თოჯინების მაღაზიაში", 11.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით", 12.00 — „თქვენთვის, მშობლებო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — საქართველოს ტაქი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — „ხიასლენი წარმოების ორგანიზაციაში", 18.40 — „მუსა ჯალილის ლექსების ნაკვალევზე", 19.30 — „სოციალიზმის სამყარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ეუმორის საღონი", 20.20 — კინონარკვევი, 20.40 — „სასაზო კონტროლის ეკრანი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. — მუსიკალური პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ოპერეტა ჩვენ ერთად" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ბავშვებისათვის: კინოკონცერტი, 16.55 — „ახალგაზრდობა": სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — „აფრიკის განთავისუფლების დღე", 18.00 — „აშკარა დაუჯერებელი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „კანონიერების სადარაჯოზე", 19.15 — „ახალგაზრდა მუშის ფილარმონია", 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — ფერადი ტელევიზია: საბჭოთა კავშირი — ავსტრია. სტუდიაში ტელევიზიისა და რადიოს პოლიტიკური მიმოხილვეული ა. პოტაპოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „საკონცერტო დარბაზებში", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეებისათვის — „ციხფერ ეკრანზე", 23.45 — ახალი ამბები.

**26 მაისი**

10.15 — ფერადი ტელევიზია — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია „ადამიანი, მიწა, სასყარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა", 15.30 — „ჯანმრთელობა — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — „ბავშვებისათვის: კინოკონცერტი, 